

პოლიტიკა

გალის რაიონის სოფლებს ახალგაზრდობა

გალის რაიონში სიტუაცია დაიძაბა. სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები ახალგაზრდობა სახლებს ტოვებს და თავს ზუგდიდის რაიონს აფარებს. ჩვენი ინფორმაციით, ჭუბურხინჯელები თავად გალის ადმინისტრაციამ გააფრთხილა - კონფლიქტის შემთხვევაში, შეიძლება, ვერ დაგიცვათ და აქაურობას გაეცალეთო.

A2

ეკონომიკა

„პირველი კვარტლის ბიუჯეტი“ „პრაქტიკაში“ ხარჯები შესრულდა.

„საქართველოს ბიუჯეტის გეგმა კი არ სრულდება, არამედ შესრულების შესაბამისად იგეგმება“, - ასეთია მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის დასკვნა.

A4

უცხოეთი

პირველი არჩევნები სადამიის შემდეგ

გუშინ ერაყის სიდიდით მესამე ქალაქ მოსულში ერთმანეთთან დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები გარდამავალი საბჭოს ასარჩევად შეიკრიბნენ. ეს სადამ ჰუსეინის დახმობის შემდეგ პირველი არჩევნები იქნება.

A5

საზოგადოება

სანამ ვეძარაწები მოწმობებს აიღებენ, შეიძლება, შეაფასებინებენ

ვეტერანის მოწმობის აღება, უროლოგოვანი ელექტრონიკისა და ბუნებრივი აირზე დანერგული შედეგითი ვერაინ ისარგებლებს, ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტში მარშან 1 იანვრიდან დადგენილი 32 300 ადამიანმა მოახერხა. დანარჩენები ამ მოწმობას როდის ეღირსებენ, არავინ იცის. ამასობაში კი, შეიძლება, „ვი-ი-ის თელავის“ ხელმძღვანელობამ შედეგითი მოქმედება შეაჩეროს.

A6

სამართალი

შარაძე საგომოლოს ბაბუშა

მას შემდეგ, რაც ლევან რამიშვილმა კანონზე დაყრდნობით დაასაბუთა კასაციის უსაფუძვლოება, სსხლის სამართლის საქმეთა პალატამ სხდომის გადადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. „შამინ ამ ქვეყანაში ჩემი ადგილი არ ყოფილა“, - განაცხადა შარაძემ

A7

ანიონი

თბილისი	18	☁
ქუთაისი	18	☁
ბათუმი	14	☁
სოხუმი	14	☁
ფოთი	15	☁
თბილისი	18	☀
ზუგდიდი	17	☁
ბორჯომი	16	☁
ახმეტა	18	☀
ჭიათურა	16	☁
ბაზრა	13	☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.3396
გიორჯანქა სტერლინგი	3.4154
რუბლი	0.0697

შეიძლება ენით დაკოდვითაც დაიდვაროს სისხლი

ბიორჩი ასანიშვილი

გუშინ საქართველოს პარლამენტში სერიოზული ინციდენტი მოხდა. ბიორჩის სხდომაზე მიმავალ ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილს დერეფანში „გაერთიანებული დემოკრატიის“ რამდენიმე კაციანი ჯგუფი დახვდა და ბოდიშის მოხდა მოსთხოვა „ცისფერობის“, ჰომოსექსუალისტობის და ა.შ. გამონათქვამებისთვის, რომელიც სოციალისტური პარტიის ლიდერმა შაბათს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართული ღონისძიების დროს „დემოკრატიის“ მისამართით გააჟღერა. ბიორჩის ოთახის წინ დაწყებული მწვავე კამათი მალე ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა, შემდეგ კი მოდავეებმა პარლამენტის აპარატის ერთ-ერთ ოთახში გადაინაცვლეს.

საქმის „გამარჯვებმა“ პირადი დაცვის მუშაკები ოთახიდან დაითხოვეს, კარები გასაღებით ჩაკეტეს და... ატყდა ბრაგა-ბრუფი, ნივთების სროლა და მსხვერვა. როდესაც ჩუბმა საშიში ფორმა მიიღო, პარლამენტის დაცვის თანამშრომლებმა კარი შეამტერიეს და მოჩუბრები ოთახიდან გამოიყვანეს. ვიზუალურად, ორივე მხარე დაზარალებული ჩანდა: ვახტანგ რჩეულიშვილს თავი ჰქონდა გასისხლიანებული, ხოლო „დემოკრატ“ ზაზა შერაზადიშვილს გაჭრილი ხელიდან სისხლი სდიოდა.

ამის შემდეგ, ხელნართული ბრძოლა, რომელშიც ვახტანგ რჩეულიშვილის პირადი დაცვის წევრებიც

ბაზრძილა A3 ბავრძა



ჩუბი პარლამენტის ეზოში.

მთავრობამ არ გამოიყენა ხარჯების დაფინანსების ყველაზე მარტივი საშუალება

ამ კვირის განმავლობაში პარლამენტმა უნდა მოისმინოს საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. „24 საათმა“ საზოგადოებას უკვე გააცნო ამ დოკუმენტზე სულხან მოლაშვილის უწყებების ძირითადი დასკვნები და აქცენტები. პრეზიდენტისგან მართული სამთავრობო „საფრთხობელა“, ძირითადად, ფინანსთა სამინისტროსა და მის შემოსავლების ამ კრეფ უწყებებს ერჩის, თუმცა თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუფარს. საზოგადოდ, ვასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „შესრულების“ პროცესის საჯარო განხილვა ხელისუფლებისათვის გაკეთებულად აქამდეც უნდა ქცეულიყო. მართალია, ჩვენი მოხუცები შეცდომების გასწორებაზე არასოდეს ზრუნავდნენ და, ამ თვალსაზრისით, მათ „რეკლამისტი“ შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ ცდა მაინც ბედის მონახვერეა.

ზურაბ ნოდარიალი

2002 წელს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებმა გეგმით გათვალისწინებული 736.1 მილიონ ლარის ნაცვლად შეადგინა 632.6 მილიონი ლარი ანუ 85.9 პროცენტი.

საგადასახადო შემოსავლებმა გეგმით გათვალისწინებული 575.9 მილიონი ლარის ნაცვლად შეადგინა

537.8 მილიონი ლარი ანუ 93.4 პროცენტი. არსაგადასახადო შემოსავლებმა გეგმით გათვალისწინებული 82.1 მილიონ ლარის ნაცვლად შეადგინა 72.1 მილიონი ლარი ანუ 87.8 პროცენტი, ხოლო გრანტებმა გეგმით გათვალისწინებული 78.1 მილიონი ლარის ნაცვლად - 22.6 მილიონი ლარი ანუ 29 პროცენტი.

ბაზრძილა A8 ბავრძა

დაზარალებულები მკვლელების ღირსი წესით გასამართლებით იბეჭებიან

ხათუნა ჯანბიარაშვილი

თითქმის დღე არ გავა, ქართული კონფლიქტის ზონაში საზარელი მკვლელობა არ მოხდეს. „თავდასხმელები, საგარაუდოდ, კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული ოსურ-ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან, რომლებმაც, სამწუხაროდ, უკვე მოახერხეს ცხინვალის ტერიტორიაზე გადასვლა“, - ასეთ კომენტარებს აკეთებენ სამართალდამცველები თითქმის ყველა განმარტებული მკვლელობის შემდეგ. საქმეები კი გაუსხნეული რჩება, რის გამოც გახშირდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მოსახლეობის საპროტესტო აქციები.

გუშინ გორის რაიონის სოფელ არცევის მოსახლეობა მამა-შვილის - საბაშვილების მკვლელობაში ეჭვმიტანილი იმ ორი პიროვნების გადაცემას ითხოვდა, რომლებიც სამართალდამცველებმა მკვლელობიდან

ერთი თვის თავზე დააკავეს. შეგახსენებთ, რომ საბაშვილების მრავალწევრიან ოჯახს შვიდი ნიღბიანი ყაჩაღი დაესხა თავს. მათ ფული და განცხადება მოითხოვეს. საბაშვილებმა შეიარაღებულ ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც თავდასხმელებმა მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოხუცების თანდასწრებით ოჯახის უფროსი და მისი ვაჟი ჩაცხრილეს. მკვლელობის შემდეგ თავდასხმელებმა სახლი ბოლომდე გაჩხრიკეს და ნადავლით გაუჩინარდნენ. საბაშვილების ოჯახში მომხდარი მკვლელობიდან ორ დღეში ოჯახის ახლობლებმა და ნათესაებმა თბილისი-სენაკის საავტომობილო გზის გორის მონაკვეთზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც გუშინდელი აქცია მიმდინარეობდა, საავტომობილო გზა გადაკეტეს მს მიწისტრის კობა ნარჩემამშვილის ადგილზე ჩასვლისა და მკვლელების დაკავების მოთხოვნით.

ბაზრძილა A7 ბავრძა

ფარსი უზბეკეთში



პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენცია.

ცესკო-ს თაობაზე კონსულტაციები ინიციატივები

ამასობაში პრეზიდენტი არჩევნების თარიღს ნიშნავს

თამარ მჭედლიძე

ცესკო-ს და კომპლექტების წესზე ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის შეთანხმება არ შედეგით და მთავრდა. გუშინვე პოლიტიკურ კონსულტაციები ამ შედეგით და მთავრდა. გუშინვე პოლიტიკურ კომპრომისებზე დასრულდა. ახლა პარტიები უკვე ერთმანეთს პოლიტიკურ რინგზე ანუ პარლამენტის პლენარულ დარბაზში შეერთებენ.

„მრეწველთა“ ინიციატივამ, რომელიც დაპირისპირებულ ბანაკთა წარმომადგენლების დახვედრას ისახავდა მიზნად, შედეგი ვერ გამოიღო. გუშინ ოპოზიციის წარმომადგენლებმა კონსულტაციების გაგრძელების თაობაზე უარი განაცხადეს. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის კომპრომისი, რომელიც პრეზიდენტმა შევარდნაძემ მათთვის „გაიმეტა“.

არადა, გუშინდელი შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, ხელისუფლების საარჩევნო ბლოკის სპიკერმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურიაშვილი უფრ-ნაღისტებს განუცხადა, რომ „ხელისუფლება უარეცდენო და მომზაზე მიდიოდა“ და ამ დამთმობის დეტალებს იგი სწორედ „მრეწველთა“ ოფისში გაახმოვანებდა.

ბაზრძილა A3 ბავრძა

მახუკა წარეთალი: ავანთაჲ ქვეყნის ბანკითარების ბებმა არ არსებობს

ქაქა კვიციანიძე

ავანთარქონი

რამდენიმე დღის წინ ვაშლიგტონში, საქართველო-ამერიკის ბიზნეს საბჭოს ინიციატივით, კონფერენცია გამართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამერიკის ადმინისტრაციის, სახელმწიფო დეპარტამენტის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა. კონფერენციის მთავარი თემა საქართველოში ერაყის ომის გავლენა და ძირითადი პოლიტიკური ტენდენციების ანალიზი იყო. ვთავაზობთ ინტერვიუს ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელ დირექტორთან, ამერიკის უნივერსიტეტის (ვაშლიგტონი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ენერჯი-უსაფრთხოების ლექტორთან მამუკა წერეთელთან.

- ბატონო მამუკა, რა ტენდენციების ანალიზს დაეთმო ეს კონფერენცია და თუ განისაზღვრა მოვლენათა განვითარების მოსალოდნელი დინამიკა?

- მას შემდეგ, რაც ამერიკის ჯარები ერაყში შევიდნენ, ერაზიის გეო-სტრატეგიულ არქიტექტურაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ერაყი ძალზე ახლოს არის კავკასიასთან და ის მოვლენები, რომელიც იქ განვითარდება, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოზე.

ყველაფერმა ამაზე გვიბიძგა იმისკენ, რომ მოგვეწყო მრავალი მაგია და მოგვეწყო ვაშლიგტონი ექსპერტები, სახელმწიფო სტრუქტურების და ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც კავკასიის რეგიონზე მუშაობენ და პირდაპირი შეხება აქვთ პოლიტიკასთან.

განხილვისთვის ორი მთავარი თემა იყო შერჩეული: ერთი - საქართველო და კავკასია ერაყის ომის შემდეგ, და მეორე - საქართველოში ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები.

ბაზრძილა A3 ბავრძა

თვალსაზრისი

მთავრობამ არ გამოიყენა ხარჯების დაფინანსების ყველაზე მარტივი საშუალება

პირველი გავრცედა

ჯამში, 2002 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების დანაკლისმა შეადგინა 103.5 მილიონი ლარი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრანტები. წინა წლებში სიმწრით აღდგენილი ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოებისა და განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტები მთავრობამ დაკარგა 2002 წელს და არც 2003 წელს აკეთებს რამეს მის აღსადგენად.

ევროკავშირთან შეთანხმებით, მათი გრანტები მიზნულია გარკვეულ ხარჯებზე და მათზე მოქმედებს ეროვნული ბანკის შემასწორებელი კოეფიციენტი, ე.წ. ევასტორი. როდესაც ნათელი გახდა, რომ გრანტების მიღების პირობები ვერ სრულდება და ვერც შესაბამისი ხარჯები ვერ გაიწევა, მთავრობა ვალდებული იყო ბიუჯეტში შესაბამისი შესწორებები შეეთავაზებინა პარლამენტისთვის და კანონმდებლებთან შეეთანხმებინა 2003 წლის მეოთხე კვარტლის ხარჯების ახალი გეგმა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე არც მთავრობას, არც პარლამენტს არ უმსჯელია და არც პოლიტიკური ძალების განხილვის საგანი გამხდარა.

ბიუჯეტის შესწორების შემდეგ ამოქმედდებოდა ახალი ევასტორი. შესაბამისად, მთავრობას საშუალება ექნებოდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებინა ეროვნული ბანკის სესხის ახალი გეგმა და სავალუტო ვალდებულების პროგრამისთვის, ან სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად მაინც გამოეყენებინა ეროვნული ბანკის სესხი.

მთავრობამ ეს არ გააკეთა, არ გამოიყენა ხარჯების დაფინანსების ყველაზე მარტივი საშუალება - ეროვნული ბანკის სესხი, რათა 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში განხილვის დროს შეძლებოდა ეთქვა: „ეს იყო პირველი წელი სექვისტრის გარეშე.“

ღირდა კი არასექვისტრიული ბიუჯეტი თუნდაც სავალუტო ვალდებულების ან მიმდინარე სოციალური ხარჯების დაუფინანსებლობად.

საინტერესოა, თუ არის პრეზიდენტი დეტალური ინფორმირებული არსებული ვითარების შესახებ?

ეროვნული ბანკის სესხი ამის გარეშე ცალკე განსახილველი საკითხია.

ჯერ ისევ გვინდა, მივუბრუნდეთ ევროკავშირის გრანტებს. განსაკუთრებული ფინანსური დახმარების გრანტით იყარება საქართველოს სავალუტო ვალი ევროკავშირის მიმართ, ხოლო სასურსათო უსაფრთხოების გრანტით კი აგრარული, სოციალური და განათ-



ავთანდილ ჭორბენაძე და მირიან გოგიაშვილი

ლების პროგრამები. სწორედ აგრარული პროგრამების დაუფინანსებლობა (გეგმის მხოლოდ 16.1 პროცენტი (?)), დასავლეთ საქართველოში განვითარებულ გვალვასთან ერთად, შარშან აგრარული სექტორის კრიზისის მიზეზი გახდა და ეს კი, თავის მხრივ, გლეხების დიდი ნაწილის კიდევ უფრო გაღარიბების მიზეზად იქცა.

2002 წელს დეფიციტის დაფინანსებამ შეადგინა 226.7 მილიონი ლარი ნაცვლად დაგეგმილი 219.7 მილიონი ლარისა ანუ 103.2 პროცენტი. თუმცა, აქ განმარტებულია საჭირო: საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 132.1 მილიონი ლარი ნაცვლად დაგეგმილი 99.2 მილიონი ლარისა ანუ 133.1 პროცენტი. „ზედმეტი“ 32.9 მილიონი ლარი, ბუნებრივია, ისევ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას მოხმარდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საგადაამხდელი ბალანსისა და ლარის კურსის განმტკიცებაში. ეს თანხები სხვა მიზნებით ვერ დაიხარჯება და, შესაბამისად, ვერც დეფიციტს შეავსებდა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაში.

იმის გამო, რომ 2002 წლის ბიუჯეტი მიღებული იყო 2002 წლის 31 იანვარს, მთავრობას ზუსტად ჰქონდა დათვლილი მის ხელთ არსებული გარდაბნული საბრუნავი სახსრები ანუ უბრალოდ - ნაშთი.

პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების დანაკლისი პრაქტიკულად შეავსო მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების სესხმა და სახაზინო ვალდებულებებმა. ეროვნული ბანკიდან კი მთავრობამ

ისესხა 4.5 მილიონი ლარი ნაცვლად დაგეგმილი 30 მილიონი ლარისა ანუ გეგმის მხოლოდ 15.1 პროცენტი. ეს რომ ყოფილიყო განპირობებული ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისა და ფისკალური კონსოლიდაციის სურვილით, მთავრობა ნამდვილად იქნებოდა მქუხარე ოვაციების ღირსი. მაგრამ მიზეზები ბევრად მარტივი იყო: მთავრობას არ სურდა ბიუჯეტში შესწორებების წარდგენა პარლამენტში და, შესაბამისად, არც ეროვნული ბანკის სესხის ნაწილის სხვა მიზნებისთვის გამოთავისუფლება და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. მთავრობამ არც ევასტორით გათვალისწინებული სავალუტო ვალდებულების ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტის დაფარვა ისურვა, თუმცა ამას ბიუჯეტში შესწორებები არც სჭირდებოდა. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ მთავრობამ ბევრად უფრო რთულ ვითარებაში, 2003 წლის დასაწყისში დააფინანსა სავალუტო ვალდებულების ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტის დაფარვა უმნიშვნელოვანესი პროგრამაში.

საინტერესოა, პრეზიდენტმა თუ იცის, რომ ახლა საქართველოს ვალი თურქმენეთის მიმართ შეიძლება 15 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები ყოფილიყო!

ხარჯებზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გაკვირვებას იწვევს განათლებისა და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების დაბალი დონე, განსაკუთრებით სხვა პროგრამებთან შედარებით. ეს ყველაფერი, ალბათ, წლებგანდელი სახარჯო პოლიტიკის პრელუდია იყო.

მონიტორინგი

მთავრობის აკრძალული კუკუდამალოზანა საზოგადოებასთან

ფინანსთა სამინისტროს 5 მაისისთვისაც კი არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია აპრილის შემოსავლების შესახებ. ვერ არც ე.წ. ფორმა N412-ია გამოქვეყნებული. იმავდროულად, წინა კვირაში (29 აპრილი - 2 მაისი) განული ხარჯები გამოქვეყნდა. შესაბამისად, მთავრობამ ზუსტად უნდა იცოდეს მის ხელთ არსებული რესურსები, მით უფრო, რომ ისინი უკვე დახარჯულია.

რაც ყველაზე საინტერესოა, ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პირებს საერთოდ არ გაუკეთებიათ ტრადიციული განმარტებაც კი, რომ შესრულდა სავალუტო ფონდის პარამეტრები. შევასწავნებთ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისაგან განსხვავებით, რომლებიც იგეგმება კვარტალურად, სავალუტო ფონდის პარამეტრები ყოველთვიურად.

საინტერესოა, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს კუკუდამალოზანა საზოგადოებასთან? მანამდე წინა კვირაში განული ხარჯების შესახებ:

თვის ბოლო დღეს მთავრობამ მაინც ვერ უღალატა ბიუჯეტის შესრულების უკვე ტრადიციულ ქვეულ მეთოდებს და ამოქმედდა „პრაკურტკებისა“ და წინასწარი გადახდების აპრობირებული მექანიზმი.

მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაში არსებული უზარმაზარი პრობლემების მიუხედავად, კვლავ დაფინანსდა წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა 793,6 ათასი ლარით. ეს, ბუნებრივია, გაკეთდა შემოსავლების შესრულების მიზნით. საინტერესოა, კვლავ მხოლოდ სოციალური ანარიცხები დაფინანსდა თუ დავალიანებაც დაიფარა მოსახლეობის მიმართ?

ასევე შემოსავლების შესრულებული ხარჯები საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება 2 მილიონ 319 ათასი ლარის ოდენობით.

სავალუტო, შემოსავლების გეგმის შესრულების მოხმარდა აგრეთვე სხვა ხარჯები, საბიუჯეტო ორგანიზაციების ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და ხელის ღირებულების ხარჯები, კავშირგაბმულობის ხარჯები, ლტოლვილთა ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯები და ენერგოსექტორის სუბსიდიები. წინა კვირაში შემოსავლების შესრულებას მოხმარდა ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები 7 მილიონ 120 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო თვის ბოლო ათ დღეში კი, ჯამში, 8 მილიონ 370 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თითქმის ნახევარია წინა თვის ბოლო დღეებში ამ მიზნებით განხორციელებულ ხარჯებზე.

წინა კვირაში დასრულდა ლტოლვილთა აპრილის შემწეობისა და რეგიონების აპრილის ტრანსფერის დაფინანსება და დაიწყო აპრილის ხელფასებისა და კვების ხარჯების დაფინანსება; კვლავ არ დაფინანსებულა სოციალური ფონდის ხარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლები

Table with 2 columns: № (Number) and დისკრეტული (Discrete). It lists various budget items and their corresponding amounts in GEL.

ბის მომტანი ხარჯები განხორციელდა 29-30 აპრილს. ხოლო 1-2 მაისისათვის მოტრეულია ისეთი ხარჯები, რომლებსაც „შემოსავალი“ არ მოაქვთ. ბუნებრივია, ეს აპრილის შემოსავლების შესრულებისთვის გაკეთდა.

ლტოლვილთა შემწეობების ნაწილი დაფინანსდა აპრილში და ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ეს სამეგრელოში ლტოლვილთა გამოსვლების შედეგი იყო. გარკვეულწილად „24 საათში“ გამოქვეყნებული მასალებიც („ცივი შხაბა“) მთავრობისათვის, მაგრამ აპრილშიც იგივე განმეორდა, რაც წინა ორ თვეში - ლტოლვილთა აპრილის შემწეობა დაფინანსდა დაგვიანებით, მაისის დასაწყისში.

თითქმის ერთ-ერთ დღეს არ უნდა ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა და იმა-

ვც მადლობელი უნდა ვიყო, რომ ლტოლვილთა შემწეობები, საპენსიო და ჯანდაცვის პროგრამების ტრანსფერისაგან განსხვავებით, დაგვიანებით მიიწვ დაფინანსდა, მაგრამ ლტოლვილთა შემწეობების დაფინანსება გვიანდება ისევე შემოსავლების შესრულების მიზნით. ლტოლვილთა შემწეობები გაიცემა ყოველგვარი გადასახადის დარიცხვის გარეშე, თუნდაც ხელფასებისაგან განსხვავებით, რომლებიც სოციალური და საშემოსავლო გადასახადების წყაროა. შესაბამისად, თვის ბოლოს შემწეობების დაფინანსება ნიშნავს „პრაკურტკების“ წყაროს შეზღუდვას, რასაც მთავრობა ვერ დაუშვებს.

საკონსულტაციო ფორმა „დამენია, ვარსალომშიც, ნოლიადელი და ქავთარაძე“

Large advertisement for FOX KIDS CUP featuring a soccer ball, logos for FOX KIDS CUP, AIRZENA, Coca-Cola, and other sponsors, along with text in Georgian.

შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ ბარკვევით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაანთავსოს თუ არა მონაცემთა ბაზაში "ხალხის პირისპირ". თქვენი შეჩვენის შედეგად, დაგისაზღვრებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკედის შევსებით თქვენ მისთვის. "ხალხის პირისპირ" ნაშაბა და აიროგზაბ.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონტაქტანტები ტელევიტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკედის საფუკველზე, აგიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ ააბათ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

საშუალო აღიილი

დასმარა კატეგორია: (მითითი კატეგორია, რომელიც აარად ტრევიით, შეიბრეთ აიროით ნა-ბიბიი. ვაბალით, საშხაბოთი კლავი "არსნალო" ან ტვირის შევსების დედაბაბაბი, ან ნი-ინი ღლბის მუბა, და ა.ბ.)

შინაური ცხოველები: (თუ ააბათ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებთ თქვენს იდეალურ დსკენებს დღს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიყოფართ საბრთველს ბარით და სად?)

არჩევიანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისუბრებდით შეხვედრას, სად ნახვილოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემაები მოგწონთ და რატომ?

არჩევიანი რომ გქონდეთ, სად ნახვილოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეკლოთ მხოლოდ ერთი რაბის შეცვლა საკუთარ ბარებმოგას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწარალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაძვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეკლოთ მხოლოდ ერთი ნატვისი ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაძვთ თუ არა მუსიკალური ნიში?

მიგიღწევით ან გაგიკეთებთ თუ არა ისეთი რაბ, რითაც აგაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაბრულ პერსონაჟს უგავხართ ყველზე ბეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაძვთ ან გქონათ თუ არა რაბი ბეტასხელი? კონარეტულად რა?

ფილმი რომ გადაელოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა აბელებით?)

გაძვთ თუ არა ურვეულო ნიში? (გაბალით, შეიბრეთ თუ არა სტენი ბთხოვის "მიზარს სწახი" შესაბაბა, ან ააინალოთ ბარათოლო დსტანციის ბაბი?)


ყველზე უნარხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გიწდათ მიილოთ მონანილოზა ჩვენს თავაში?

ურვეულო ან სანიტმარსო რაბ თუ გადაგდენით თავს? კეროდ რა?

ყველზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენი ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

რაზმი

„თავსომოხვეული“ ფრანგი ქართველებს ეხმარება

პაატა თოთაძე



ალან მაიო

სი ასეთი დაინტერესება ქართული რაგბის მიმართ მხოლოდ იმით არ არის გამოწვეული, რომ ყოფილი მო- რაგბე იყო: „ქართული რაგბის პოტენ- ციას რომ ვერ ვხედავდი, ასე არ მო- ვიქცეოდი. რაც მე საქართველოში ვარ, ქართული რაგბი სულ პროგრეს- ეს განიცდის. მინდა, ამაში მეც მი- ვიღო მონაწილეობა“.

საშვილმა შემომთავაზა, შეიდეკაცა- სი ხომ არ ჩაუდგებოდი სათავეში, რა- ზეც სისარულით დაეთანხმდი. ასე გავეხდი ტურნირის დირექტორი, - „24 საათთან“ საუბარში აღნიშნა ალ- ან მაიომ. ნებისმიერი ტურნირის ჩა- ტარებისთვის, ბუნებრივია, ფინან- სება საჭირო, მით უმეტეს, ასეთი რანგის ტურნირისთვის. ფრანგი დირ- ექტორიც სპონსორთა ძიებითაა დაკავებული: „ტურნირი უმაღლეს დონეზე უნდა ჩატარდეს. სპონსორ- ებს ვეძებ. ეს ტურნირი ფირა-ს ეგი- დით და, ასე ვთქვათ, საფრანგეთის რაგბის კავშირის პატრონობით ტარ- დება. ფრანგების ასეთი მონაწილეო- ბის გამო ვცდილობ, ტურნირის გარ- შემო საქართველოში მოღვაწე ფრა- ნგული კომპანიები შემოვიკრიბო. ბუნებრივია, ქართულ კომპანიებსაც დავინიშნა. ასეთი მაღალი რანგის ტურნირი ჩვენს ქვეყანაში პირველად იმართება და მისი სიცოცხლისუნა- რიანობა მეტწილად იმაზეა დამოკი- დებული, რამდენად მაღალ დონეზე ჩაივლის წლებადღეი შეჯიბრება.“

„საფრანგეთში ჭაბუკთა პირვე- ლობაზე გამგზავრებამდე ზაზა ქა-

ებს შორის ბრიტანელებიც არიან. იქ კი რაგბი ლამის სპორტის ნომერ პი- რველი სახეობაა, ამიტომაც დღის წესრიგში დადგა ბრიტანელთა სპონ- სორობის საკითხი, თუმცა, როგორც მაიომ განაცხადა, ისინი თავს იკავებ- ნენ, მონაწილეობა მიიღონ იმ საქმე- ში, რომელიც წამყვანი პოზიციებზე ფრანგებს უჭირავთ.

როცა საქართველოში ასეთი ტუ- რნირის ჩატარების იდეა წარმოიშვა, საუბარი იყო ორ ქალაქზე - თბილის- სა და ბათუმზე, თუმცა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ შეჯიბრება თბილის- ში ჩატარდებოდა. „აქ ინფრასტრუქტუ- რა უფრო განვითარებულია, ვიდრე ბათუმში. სტუმართა მიღება ადვი- ლია, თანაც, პრეესტრუქტურა, როცა შეჯიბრებას ქვეყნის დედაქალაქი მასპინძლობს. შეიდეკაცა დიდ რაგბი- სთან შედარებით საღალბო სახეო- ბაა. მასზე გულშემატკივრები ოჯა- ხებით დადიან, ერთობიან. თბილისში- ც ახე უნდა იყოს და ამაში სპონსო- რები უნდა დავეხმარებო. ხალხს უნ- და უხაროდეს შეჯიბრებაზე მისე- ლა“, - აღნიშნა დირექტორმა.

თითქმის მოგვარებულია ქართვე- ლთათვის მუდმივი პრობლემა - სტა- დიონის საკითხი. ოფიციალურად ამ- ის შესახებ ვერ არ გაცხადებულა, მა- გრამ თითქმის გადწყვეტილია, რომ თამაშები „ლოკომოტივის“ სტადიონ- ზე გაიმართება. ჯერჯერობით არც ისაა გადაწყვეტილი, თუ რა სახის იქ- ნება ჯილდო გამარჯვებულისთვის, თუმცა, სავარაუდოდ, მოგებული გარ- დამავალ ფარს მიიღებს. ნავარაუ- დევია, აგრეთვე, ლელოს თამაშიც, ოღონდ ეს უფრო სანახაობა იქნება.

რაც შეეხება მონაწილეებს. როგ- ორც მოსალოდნელი იყო, ბრიტანე- ლები უარს აცხადებდნენ მონაწილეო- ბაზე. სამაგიეროდ დაწარმოებულნი არ- იან თანახმა. მოკლედ, 27, 28 და 29 ივნისს ჩვენს ქვეყანას რუსეთის, უკ- რაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, უკრაინის, ბულგარეთის, მოლდოვის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებთა მასპინძ- ლობა მოუწევს.

ფორმულა 1

ალონსომ თანამაგაბელი ფორმულით მონაგლა

ბიზა ბარასაპილი



მიხაელ შუმახერი და ფერნანდო ალონსო პოდიუმზე

საპატიო წრე განსაკუთრებული გამოდგა. ესპანეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული 96 ათასი ფანატი ჩემს წარმატებას აღნიშნავდა. ყველა ბე- დნიერი და კმაყოფილი ჩანდა.

ჩემი თანამაგაბელი სპორტის- იმ სახეობებს ადევნებენ თვალყურს, რომელშიც ესპანელები მონაწილეობენ. მისი მონაწილეობის გრან-პრის შემდეგ (მაშინ ალონსომ მესამე ადგილი დაიკავა. - რედ.) ესპანეთში სამეფო რბოლები- სადმი ინტერესმა იმატა“, - რბოლის დასრულების შემდეგ ემოციური ჩან- და ალონსო.

„რენოს“ ესპანელ პილოტზე სულ უფრო ხშირად საუბრობენ, როგორც მომავალ ვარსკვლავზე. განსაკუთ- რებით მაღალია „რენოს“ საჯინო- ბო. ესპანელი პილოტი მეხუთედ მი- უჯდა „რენოს“ საჭეს და ამდენჯერ- ვე ჩასათვლელი ქულებით დაასრუ- ლა ასპარეზობა. ასეთი შედეგით მხოლოდ უილიამსელი რაფლ შუმა- ხერი თუ დაიკვეხნის. რაკი სტატის- ტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ვი- ტყვი, რომ ალონსომ მიმდინარე სეზონის გრან-პრის გათამაშებაში უფრო ეტაბიდან ორჯერ მესამე შე- დეგით (მალიზიისა და ბრაზილიის

გრან-პრი) დაასრულა ასპარეზობა. ყველაზე უარესი შედეგი კი საწყის ეტაპზე ავსტრალიაში ჰქონდა, რო- დესაც მეექვსე იყო. მეექვსე ადგილ- ით ჩასათვლელი ქულა სან-მარინოში- ც აიღო. ყველაზე უკეთეს შედეგს კი შინ - კატალინიას ტრასაზე მია- ლნია. „რენოს“ იმდენ მსოფლიოს სუ- თების ჩემპიონსა და ესპანეთის ეტა- პის ტრიუმფატორს მიხაელ შუმა- ხერს 5,7 წამით ჩამორჩა.

ახლა 21 წლის ესპანელი პილოტი პირად ჩათვლილი 25 ქულით მესამე ადგილზეა და სამი ქულით ჩამორჩე- ბა შუმახერს.

„ხედავდ მეხუთე ეტაპში, რომე- ლშიც ქულა მოვიპოვე. ამ დროისთე- ის ამაზე მეტს ვერც ვინატრებდი“, - კმაყოფილება ეტყობა ალონსოს.

უცნობს კოლეგას სათანადოდ აფასებს მიხაელ შუმახერიც და მას „მომავლის პილოტს“ უწოდებს. გერ- მანულ მშობლს სულაც არ უკერის ესპანელის შედეგი. მეტიც, როგორც იგი ამბობს, მისი წარმატება „ფერა- რის“ ახალი, მოდიფიცირებული ბო- ლიდის - F2003-GA დამსახურებაა.

„როგორც ველოდი, მედგარა წი- ნალმდეგობას ნავაწყდი. გავეცმარ- თლა, რომ ახალი ბოლიდით გავედი- თ სტარტზე. ვფიქრობ, რომ ძველით (ესპანეთის ეტაპამდე ფერარელები 2002 წლის მოდელით ასპარეზობდნენ - რედ.) ამას ვერ შევძლებდი. ახ- ალი კი იმდენად ბრწყინვალე და გან- საკუთრებულია, რომ უკვე შემოვიყარ- რდა. F2003-GA ჩემი შეილივითაა, - ახალ ბოლიდთან დაკავშირებით სა- კუთარ გრანდებზე საუბრობს შუ- მახერი და იქვე ალონსოზე საუბარს აგრძელებს. - რა თქმა უნდა, ველო- დი, რომ იოლა გასეირნება არ მკლო- და. როდესაც „რენოს“ ბოლოდროინ- დელ შედეგებს გადავხედავთ თვალს, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ეს იყო თავშესაქცევი დუელი. დუელი ჩემსა და ალონსოს შორის. ვერაფ- რის იტყვი, კარგი ბოი. თან, ფეხბუ- რთსაც კარგად თამაშობს.“



ხეხეადრის ადგილი - პარიზი

საფრანგეთის დედაქალაქი ლანს არმსტრონგისთვის ყველაზე უკეთე- სი ადგილია დედაქალაქის ზურგზე. ტურ დე ფრანსის სახელგანთქმული ტუ- რნირი ის ასპარეზობაა, რომლის მოგებაც ნებისმიერი ველომობლისთე-



ლანს არმსტრონგი

ის, უბრალოდ, პრესტიჟის საქმეა. რაც უნდა სახელგანთქმული პარიზი იყო, თუ პარიზში ერთხელ მაინც არ შესულხარ ტრიუმფატორის ამ- ლუაში, ჩათვალე, რომ შენი ფასი წულია...

ლანს არმსტრონგს ოთხჯერ ჰქონდა ტურ დე ფრანსის მოგების ბედნი- ერება. სახელი და დედაც მას სწორედ პარიზში მოუტანა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, ამერიკელი სპორტსმენი ასე რომ აღმერთებს ამ საოც- არ ქალაქს. პარიზი არმსტრონგისთვის ყოველთვის ბედნიერების მომტანი იყო. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სპორტში დაბრუნებულმა არმსტრონგ- მა სწორედ აქ დაიწყო თავისი ბრწყინვალე კარიერა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ კიბოთი დაავადებული ამერიკელი ავადმყოფობასაც დაძლედა და თავის მოყოლოდელ დაბრუნებას ტურ დე ფრანსის მოგებითაც აღნიშნავ- და. 1999 წლიდან არმსტრონგის ცხოვრებაში აღმავლობის ხანა დაიწყო. მომდევნო სამი წლის განმავლობაშიც არავის დაუეთმო ტურ დე ფრანსის გამარჯვებულის ტიტული და ამ სეზონშიც უპირატესი ფავორიტად ითვ- ლება. პარიზი არმსტრონგის ქალაქია...

რანდევუ პარიზში

პარიზი არმსტრონგს ძალიან უყვარს. როცა პირად ცხოვრებაში პრობ- ლემები შეექმნა, მეუღლეს პატივს და შერიგება სწორედ ამ ქალაქში სთხოვა. 2002 წლის სექტემბრამდე ლანს არმსტრონგი და მისი მეუღლე კრისტინი, რომელსაც სპორტსმენი მოგვრებით „კიკის“ ეძახის, ოჯახური ბედნიერების ეტალონად ითვლებოდნენ. ჯერ კიდევ დაქორწინებამდე, როცა არმსტრონგი ავად იყო, კრისტინი მუდამ გვერდით ედგა მეგობარს და მძიმე წუთებს უმსუბუქებდა. ტურ დე ფრანსის პირველად მოგების შე- მდეგ ისინი დაქორწინდნენ. არმსტრონგს სამი შვილი ჰყავს: სამი წლის ლუკი, ორი წლის იზაბელა და ერთი წლის გრეისი. ველოსპორტის მოყვა- რულები ხუმრობენ, არმსტრონგი ტურ დე ფრანსის ყოველ მოგებას თითო ბავშვით აღნიშნავს...

ლანს და „კიკის“ შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ მცირეწლოვანი შვილებს დედა იყო, კრისტინს არასოდეს გა- მოუტოვებია ტურ დე ფრანსის რბოლები - ბავშვებთან ერთად მუდამ თან ახლდა მეუღლეს. გულშემატკივრებს ხშირად ჰქონდათ შესაძლებლობა, დამტკბარიყვნენ არმსტრონგის ოჯახური ბედნიერების სცენებით. გა- მარჯვებული ლანსი ხან ცოლს კოცნიდა, ხან შვილებს და უსაზღვროდ ბე- დნიერი იყო. 2002 წლის სექტემბერში ეს იდილია დაირღვა...

კრისტინმა შეიტყო, რომ მის სანიშნავი მეუღლეს, რომელიც მუდამ სი- ყვარულს ეფიცებოდა, საყვარელი ჰყავდა. „კიკიმ“ ეს ვერ აიტანა და არმს- ტრონგს დაშორდა. გულშემატკივრები დალონდნენ. ტურ დე ფრანსი და კრისტინი ისე ორიგინალურად ეწინააღმდეგებ ერთმანეთს, რომ ვერავის წა- რმოედგინა ეს ტურნირი არმსტრონგის ქერთაშიანი მეუღლის გარეშე. მა- ლე არმსტრონგმაც იგრძნო, რომ დიდი შეცდომა დაუშვა. ნახევარწლიანი განსორების შემდეგ ამერიკელმა სპორტსმენმა გადაწყვიტა, თავისი „კიკი“ დაებრუნებინა. პაემანი, რა თქმა უნდა, პარიზში შედგა. ლანსმა კრისტინს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. ტურ დე ფრანსის გამარჯვებული უარესად რომა- ნტიკულ ვითარებაში მოახყო რანდევუ - პარიზში, სიყვარულის ქალაქში, სანთლების ლურჯი ციმციმის თანხლებით, არმსტრონგმა „კიკის“ პატივს სთხოვა: „კიკ, მე იდილი ვიყავი. შენ და ბავშვები ძალიან მჭირდებით. თქვენს გარეშე მე ჩემპიონი ვერ ვიქნები“. როგორც უფრანსისტები ჭორა- ობენ, კრისტინმა ამ მხურვალე მუდარას ვერ გაუძლო და ჩემპიონს ცოდვე- ბი შეუნდო. ოჯახური პრობლემა მოგვარდა. არმსტრონგის დაცარიელე- ბული სახლი ესპანეთში ისევ აახმაურა ბავშვების ყოველ-ბივილმა. არმსტ- რონგის სახიდან დაძაბულობა გაქრა.

ეს შერიგება, მარალაც, დროული იყო. ახლოვდება მორიგი ტურ დე ფრანსი. ლანს არმსტრონგი, რა თქმა უნდა, ისევ დაფნის გვირგვინზე ოც- ნებობს. ივლისში დიდი ტურნირი დაიწყება და გულშემატკივრებს ისევ ექ- ნებათ შესაძლებლობა, ლანსისა და „კიკის“ ბედნიერება გაიზიარონ...



გეგმატიშეგაბატი „ლაგუნა ვიკი“

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2003 წლის 11 მაისს, 12 საათზე, საატეო დარბაზში ჩატარდება ლია კარის დღე.

ქისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 45. ტელ: 23-05-03.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მიმავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს. ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა. საბუღალტრო მისამართი: 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამოაგრება ა.წ. 15 მაისს. მიღების წესები იხილეთ www.phss.org ან მისამართზე ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ: 223742



ქართულ ლიგაში განვერანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: ნურეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კომსო-სი"-ს შენობა) ყოველდღე 9:00-დან 20:00-მდე. "ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

ბინები

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება კეთილმოწყობილი კაპიტალური კერძო სახლი 2 მართის ნაკვეთი სოფ. დიდი ცეცხი. ფასი: 10 000\$ ტელ: 899 263209 კახა.

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაკზე - შიშ მდებარე ქ. 4; 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, სა-ცენტრალური და ავტოფარები ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხოთ ლია.

იყიდება 2,5-ოთახიანი არას-ტანდარტული სუფთა ბინა მე-8 სართულზე. 40 კვ.მ. მიწებზე მდებარე ნაბჭრობზე, N22-ში. ფასი 24 000\$. ტელ: 32-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტრეზე კვადრატის N25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტომობილი გათვალისწინებულია, ბართი, სარდაფი და ავტოფარები. გაქირავების ფასი 380 \$, გაყიდვის ფასი 50 000 \$. 23 40 68, 8(93) 32 32 74

სამუშაველი ფირმა "სიბი 98" დაგეგმვრებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაკრედიტება. ტელ: 23-70-91, 877 710590.

სამუშაველი ფირმა "სიბი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს

იყიდება ჩუხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რეკონსტრუქციის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარებით, ტელეფონით, კონდიციონერით, ნეკლის განლაგებული. ფასი 24 000\$. ტელ: 24-17-53, 899 548425

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მინის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარდაფი ნაწილი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება! სასწრაფოდ, ორთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არას-ტანდარტული მაღალჭირბინი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოს რ. ზაქარაძის ქუჩაზე (მ. გორბოძე) სართული ფართი 135 კვ.მ. 3 აბიეთი, 2 ტუალეტი, 2 სათავსო, სარდაფი, ტელეფონი, ბ/ა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-53-41 69-94-27 ზელა.

იყიდება 3-ოთახიანი არას-ტანდარტული, მაღალჭირბინი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გვირაბის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორბინიანი მიწებების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფი, ავტომობილის განაწარმებული ადგილი "რუსთავი 2"-ის უკან. ფასი: 30 000\$. ტელ: 39-30-54.

სამუშაველი ფირმა "სიბი 98" დაგეგმვრებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაკრედიტება. ტელ: 23-70-91, 877 710590.

სამუშაველი ფირმა "სიბი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს

განვაფიქრო შეიძენ 2 ან 3 ოთახიანი ბინა 3 000 დოლარის ნინასნარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება დოლიდის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნაწილი ბინა 2(8) დარეკილია კონსტრუქციის სა-მუშაო, ორი აბიეთი, დიდი სათავსო, მანქანის სადგომი. ფასი: 32 000\$. ტელ: 23-11-38

იყიდება ჩუხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რეკონსტრუქციის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარებით, ტელეფონით, კონდიციონერით, ნეკლის განლაგებული. ფასი 24 000\$. ტელ: 24-17-53, 899 548425

იყიდება 1,5-ოთახიანი ბინა, გადაკეთებული 2-ოთახიანად. მე-9 სართული. ფ. 3 000. ვარკეთილი, 23/რ. 8(93) 32 06 71

იყიდება 85 კვ.მ. ფართი დღემის მასივში, III ეტაჟული, VI კორპუსი. 51 53 40, 8(77) 44 10 40, 8(99) 53 50 29

ბინები

ქირა, ბირა

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისაში, ზაქარაძის ქ. 8-ში ("პარლამენტის სახლი") მდებარე ახლანაირი სახლი სახლი მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, სართული 160 კვ.მ. 3 საძინებელი, 3 ხედიანი ნერტილი, წყლით, გაზით, 4 აბიეთი. ბინა ცარილია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39.74.56 მაშუკა.

პირადება!

სახლი აღმავლების გამზ. N151 (24-ე სკოლასთან) ვერო-რემონტი. სართული ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წყარო, ტელეფონი, გაბი-ლიტი, ცხელი წყლით. 2 შესასვლელი. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77, 93-16-11; 899 539097

მანქანები

იყიდება პერსვესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება!

ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქრო-სფერი, ძრავი 2,3 ზუფცილი-ნერჩანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი, კარგ მდგომარეობაში. საყისი ფასი 1500\$ ტელ: 899 16 28 68

იყიდება გოლფ-3 1992 წლის. 1,8 ძრავით, 2 კართი, ლურჯი ფერის. ფასი: 2800\$. 893 347536.

სკაულები

ლილიონში სტატიონული სპეციალისტი ვთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომებს მხატვრული ინტელისურ, ინტელსურ-პროფესიულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 96-2034, 893 219442

შევახანებლ გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

სხვადასხვა

ვაკეთებ "ვილოვას" უმაღლესი ხარისხით. 8(99) 10 22 16

იყიდება მღვდლის ავტორი-ლობა და დაბლა-პრევიკი თავის ავტორი-ლობაში. 62 20 23

იყიდება მინი ფოტოლაბორატორია "ნორიკე"-1807". 79 69 28

იყიდება უნერული დასამუშავებელი მძღველი (SUX30X15)მ; 8(99) 54 13 37

ორგანიზაცია შეიძენ 60 ცალ გენერატორს, "HONDA"-ს მარკის, 2,5 კვ. შეთავაზება მოგვანი-ფეთ 15 მაისამდე. 98 22 04

სარეკლამო სააგენტო სამუშაოდ ინვეს თანამშრომლებს.

კომპანია "InterCor.comServis" მისამართი ვებგვერდი

სახის კომპიუტერული მომსახურება: ინსტალაცია/მონტაჟი/სერვისის გაუმჯობესება, კომპიუტერის კონფიგურაცია, კლდენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, შავი მუშაობის უზრუნველყოფა, ინფორმაციული პროგრამების შედგენა, ყველა საშუალო ნატარდება ადგილზე, ელექტრონული მისამართის შექმნის უზრუნველყოფა. ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

ნდობის ტექსტული კონსულტაცია ინტეში 822 009 005

რუსთავი - 2

Table with TV schedule for RUSTAVI-2 channel, listing times and program titles.

იმერია

Table with TV schedule for IMERIA channel, listing times and program titles.

აჭარა

Table with TV schedule for AKHARA channel, listing times and program titles.

პირი

Table with TV schedule for PERI channel, listing times and program titles.

პირველი არხი

Table with TV schedule for Channel 1, listing times and program titles.

მეორე არხი

Table with TV schedule for Channel 2, listing times and program titles.

VII არხი

Table with TV schedule for Channel 7, listing times and program titles.

PTP

Table with TV schedule for PTP channel, listing times and program titles.

პირველი სტადიონი

Table with TV schedule for Channel 5 (Sports), listing times and program titles.

მეორე არხი

Table with TV schedule for Channel 2, listing times and program titles.

ნობელი

Table with TV schedule for Channel 6 (Nobel), listing times and program titles.

ნთ

Table with TV schedule for Channel 8 (NTB), listing times and program titles.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიხი“ გათავაზობთ: კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის: კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება, MS Word, MS Excel, Windows.

თავიბიბლიოთეკის სამსახური: ოპერატორული მუშაობის სწავლა, კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საგანმანათლებლო დაზღვევის დაზღვევის სააგენტო: სანაწარმოო და სარეკლამო მუშაობის სწავლა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიხი“: კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

LA PERLA, GRIGIO PERLA, lejaby barbara, Triumph, Amoree, DAVID. SALE 10-30%. მალაგია - სალონი. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 32, ყოველდღე 11.00-20.00 სთ.

